ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 16
30.10.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ფსიქოლოგიის კომიტეტის შემადგენლობაში ახალი წევრების დამატება;
2. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის (ჩოფიკაშვილი სალომე და ჯოჯიშვილი შორენა) აკადემიური ხარისხის მინიჭება.
3. ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის (ქაჯაია ნაზიბროლა და რევაზიშვილი ანა) აკადემიური ხარისხის მინიჭება.
4. აკადემიური ხარისხის მინიჭება იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებსაც გადატანილი ჰქონდათ სამაგისტრო დაცვა.
5. დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემის შექმნა და მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება (ბაკალავრიატი) ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2004 წლისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის 2006 წლის კურსდამთავრებულ მერი გაბაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები
7. ცვლილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებში;
8. 2018-2019 სასწ. წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულ დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაურის დამტკიცება
9. დოქტორანტების - ლია დავითაძის (სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“), მზექალა აჭაიძის (სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“), მირანდა გიორგაშვილის (სადოქტორო პროგრამა „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“) - სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცება
10. დოქტორანტ ნატა ასათიანის - (სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“) - განცხადება სადოქტორო პროგრამის შეცვლასთან დაკავშირებით (იხ.დანართი);
11. დოქტორანტ ანა ტიკარაძის - (სადოქტორო პროგრამა „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია,“ სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ია კუტალაძე) - რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის -„ბედნიერების სუბიექტური აღქმა და მისი კავშირი სამუშაოს შესრულებასთან“ - დამტკიცება;
12. დოქტორანტ ირინე ფრუიძის - (სადოქტორო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება,“ სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია) - რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის - „ხარისხის მართვა არასამთავრობო ორგანიზაციაში“ - დამტკიცება;
13. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად დამტკიცებული საკონკურსო კომისიის მოქმედების ვადის დამტკიცება.
14. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევნები
15. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:
საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :
ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :
ლალი სურმანიძე, იამზე კუტალაძე

ასოცირებული პროფესორები :
თამარ აბაშიძე, ხათუნა მარწყვიშვილი, გიორგი გოროშიძე, ია აფთარაშვილი, მანანა მელიქიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ირინა ჟვანია, შორენა მამუკაძე, ბელა არუთინოვა, ვახტანგ ნადარეიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი
ასისტენტ პროფესორები :
ირინა გედევანიშვილი
განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:
პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :
ზაქარია ქიტიაშვილი, ეთერ ღვინერია, რუსუდან სანაძე

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა **სულ 19 წევრი**

1. ფსიქოლოგიის კომიტეტის შემადგენლობაში ახალი წევრების დამატება

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „ოკუპაციური თერაპია“ ფაკულტეტზე გადმოსვლის შემდეგ საჭირო გახდა ფსიქოლოგიის მიმართულების პროგრამული აკრედიტაციის კომიტეტის წევრთა რიცხვს დაემატონ აღნიშნული პროგრამის აკადემიური პერსონალი და დაინტერესებული მხარეები. კერძოდ, ნინო რუხაძე – პროგრამის "ოკუპაციური თერაპია" თანახელმძღვანელი; რუსუდან ლორთქიფანიძე – ოკუპაციური თერაპევტების ასოციაციის თავმჯდომარე; ნინო ბოლოთაშვილი – სტუდენტი; ნაზიბროლა ქაჯაია – კურსდამთავრებული; ზაზა კაკუშაძე – დამსაქმებელი.
საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურებს და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

2. **ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის (ჩოფიკაშვილი სალომე და ჯოჯიშვილი შორენა) აკადემიური ხარისხის მინიჭება.**
საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მიერ შემოსულია შუამდგომლობა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის

კურსდამთავრებულთათვის - ჩოფიკაშვილი სალომე და ჯოჯიშვილი შორენა - აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის (ქაჯაია ნაზიბროლა და რევაზიშვილი ანა) აკადემიური ხარისხის მინიჭება.

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მიერ შემოსულია შუამდგომლობა ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის (ქაჯაია ნაზიბროლა და რევაზიშვილი ანა) აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

4. აკადემიური ხარისხის მინიჭება იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებსაც გადატანილი ჰქონდათ სამაგისტრო დაცვა.

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მიერ შემოსულია შუამდგომლობა - იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებსაც რექტორის ბრძანებით გადატანილი ჰქონდათ სამაგისტრო დაცვა, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე. მდივანმა გააცნო საბჭოს წევრებს მაგისტრებისა და პროგრამების წარმოდგენილი ნუსხა:

I. მიენიჭოთ **გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი** და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: „ გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

დიპლომი წარჩინებით:

1. ინჯგია ნინო
2. ჩაგუნავა მართა

დიპლომი ჩვეულებრივი

3. გოგილაშვილი ნინო

II. მიენიჭოთ **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი** და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

დიპლომი წარჩინებით:

1. ლორთქიფანიძე ქრისტინე

დიპლომი ჩვეულებრივი:

2. ჩუბინიძე ნინო

III.მიენიჭოთ განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი

1. სანიკიძე ლიკა
2. ჩახუნაშვილი მარიამი

IV.მიენიჭოთ განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების პოლიტიკა

დიპლომი წარჩინებით

1. აღდგომელაშვილი დავითი
2. ნაჭყებია ნათია

დიპლომი ჩვეულებრივი

3. გოგიაშვილი მზია
4. დარჩიაშვილი ანა
5. კარტოზია სოფიკო
6. მაკასარაშვილი ანი
7. პაპიაშვილი ვასილი
8. ყაზაიშვილი ხვიჩა

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემის შექმნა და მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება (ბაკალავრიატი) ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2004 წლისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის 2006 წლის კურსდამთავრებულ მერი გაბაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით.

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან შემოსულია წერილი (#21820/10, 19.10.2018), რომელშიც ითხოვენ
თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2004 წლის კურსდამთავრებულ მერი გაბაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნას და მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტებასა (ბაკალავრიატი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტი ვალდებულია მერი გაბაშვილის სახელზე გასცეს ახალი დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ოქმის ნომრის მითითებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ: მარიამ გაბაშვილი 2000 წელს (ბრძ. N4/752, 26. 08. 2000 წ.) ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო დასწრებული სწავლების ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.

2004 წელს (ბრძ. N4/712, 05. 07. 2004 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის დღის სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ მარიამი გაბაშვილს მიენიჭა ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ქართული განყოფილების კურსდამთავრებულ მარიამი გაბაშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგის სპეციალობით.

საქმისწარმოებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ 2004 წელს აღნიშნული ბრძანებით (სპეციალიზაციით შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია) საგანმანათლებლო პროგრამა მარიამ გაბაშვილთან ერთად დაასრულა 6 სტუდენტმა (რექტორის მიერ გამოცემული N4/712, 05. 07. 2004 წ. ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ), მათ პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციით და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალით დასტურდება მათი სწავლების ფაქტი ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულთა სიას :

მიენიჭოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის, დღის სწავლების, არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებით

1. ჩიქოვანი სოფიო
2. ჯანეზაშვილი ნათია
3. გაბაშვილი მარიამი

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ბახუტაშვილი ნინო
2. მიშველიძე თინათინი
3. მელიმონაძე ნინო

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება მარიამ გაბაშვილის სახელზე გასაცემი ახალი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, მინიჭებული აკადემიური ხარისხი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები.

აკადემიური ხარისხი განისაზღვროს რექტორის ბრძ N4/712, 05. 07. 2004 წ. ბრძანებაზე დაყრდნობით: *ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით.*
ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები
სხდომის თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამჟამინდელ უფროსს, ასოც. პროფესორ მანანა მელიქიშვილს გასდის ვადა. მის მიერ გაწეული მუშაობისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, საჭიროდ თვლის, თავიდან დააყენოს ასოცირებული პროფესორის მანანა მელიქიშვილის კანდიდატურა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შემდეგი 4 წლის ვადით და სთხოვა ფაკულტეტის წევრებს, წარმოდგენილი კანდიდატური მხარდაჭერა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

7. ცვლილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებში;

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, დიმიტრი ჩუბინიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ როგორც პრაქტიკამ აჩვენა და ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კომისიის წევრები ადასტურებენ, მნიშვნელოვანია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, პუნქტი 3 შეიცვალოს ფორმულირებით - *სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში და სამეცნიერო-პოპულარულ აქტივობებში მონაწილეობა*

(გათვალისწინებული იქნება წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები) - არაუმეტეს 10 ქულა. ასევე, პუნქტში 3.1. ჩაემატოს ფორმულირება - *ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ან სამეცნიერო–პოპულარულ აქტივობებში მონაწილეობა.*

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

8. 2018-2019 სასწ. წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულ დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაურის დამტკიცება
საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სადისერტაციო საბჭოს მიერ შემოტანილია 2018-2019 სასწ. წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულ დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაურის დამტკიცების საკითხი. კერძოდ,

1. მარინა რაიდტ-ალთუნაშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი თამარ გაგოშიძე;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „კოქლეარული იმპლანტის მქონე ბავშვებში ნორდოფ-რობინსის მუსიკათერაპიის გავლენა ენისა და კომუნიკაციის მახასიათებლებზე .“

2. რუსუდან ბოჭორიშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი თამარ გაგოშიძე;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „ თერაპიული მეთოდების შედარებითი ანალიზი ადრეული ასაკის აუტიზმის მქონე ბავშვებში .“

სადოქტორო პროგრამა - „ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური)“

1. გიორგი ითონიშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ლალი სურმანიძე;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „კულტურული კოგნიცია.“

2.მარიამ გოგიჩაიშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „კულტურაში განფენილი მასტერ და ალტერნატიული ნარატივები.“

სადოქტორო პროგრამა - „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

1.მერი გაბაშვილი
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე;
სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „თვითრეალიზაცია: „საკუთარი შესაძლებლობების შეცნობის და გამოყენების ხელშემწყობი ფაქტორები ორგანიზაციაში“.
2.სალომე ვაჩნაძე
სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „პიროვნული და კონტექსტუალური ფაქტორების როლი კარიერის დაგეგმვაში“.

3. ეკატერინე ბაბუნაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ია კუტალაძე

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „DISC-ის ბიჰევიორული მოდელის ფარგლებში ორგანიზაციულ ქცევაზე პიროვნული განვითარების ზეგავლენის შეფასება“.

სადოქტორო პროგრამა - „განათლების ფსიქოლოგია“

1. თინათინ გოგმაჩაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი მზია წერეთელი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „მეტაკოგნიციის სტრუქტურა და მისი მიმართება სტუდენტების აკადემიური წარმატების კომპონენტებთან.“

2. ნანუკი ალიბეგაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი მზია წერეთელი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „მშობელთა ჩართულობა და აღზრდის სტილის როლი მოზარდის ცხოვრებით კმაყოფილებასა და აკადემიურ წარმატებაში.“

3. ვერიკო სადაღაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ია აფთარაშვილი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „კრიტიკული აზროვნების ელემენტები და მათი დინამიკა სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.“

4. ბაია კუბლაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი მზია წერეთელი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „თვითრეგულირებადი სწავლის განვითარების დინამიკა და მისი პრედიქტორები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.“

სადოქტორო პროგრამა - „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

1.შოთა საღინაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ნანა სუმბაძე;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „გენდერული ექსპრესია საქართველოში.“

სადოქტორო პროგრამა - „განათლების მეცნიერებები“

1.თათია კალანდაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი *- პროფესორი ქეთევან ჭკუასელი;*

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „უმაღლესი განათლების რეფორმის შეფასება საქართველოში (1991-2018წწ).“

2. ნინო ხითარიშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „პროფესიული განათლების რეფორმის შეფასება საქართველოში.“

3. ნინო გურგენიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „დამოუკიდებელი მსწავლელის განვითარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურზე და უმაღლეს სკოლაში. (ინგლისური ენის სწავლების მაგალითზე).“

4. თამარ მეტრეველი

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „ წერა-კითხვის დასწავლის საკითხები აუტისტ ბავშვებში“.

5. თამარი ხოსიტაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენება (ინტეგრირება) უცხო ენის (ინგლისური ენა) სწავლა-სწავლების პროცესში“.

6. მანანა ნიჟარაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სწავლების საკითხები - ლიტერატურათმცოდნეობის დისკურსი.“

7. ლილე კლდიაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელები – ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „სახელმწიფო ენის სწავლის მოდელი ეროვნული უმცირესობებისათვის.“

8. თამთა ხუციშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „სწავლის უნარის (სწავლის სწავლის) კომპეტენციის ფორმირების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე“.

9. ეკა გოგალაძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი;

თანახელმძღვანელი/კონსულტატი - ასისტენტ პროფესორი ელენე კაცაძე, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტი, თსუ.

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება - „ქიმიური ექსპერიმენტის თავისებურებების კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე“.

10. გვანცა ჭანტურია

სამეცნიერო ხელმძღვანელები – პროფესორი ქეთევან ჭკუასელი;

დოქტორი ლია კალინიკოვა-მაგნუსონი - გავლეს უნივერსიტეტი, შვედეთი;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „ინკლუზიური განათლების საკითხები უმაღლეს სკოლაში“.

11. ნინო ცხომარია

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი რუსუდან სანაძე;

სადისერტაციო ნაშრომის პირობითი სახელწოდება – „სკოლამდელი აღზრდის საკითხები და მშობელთა როლი უსინათლო შვილის აღზრდაში.“

აზრი გამოთქვეს:

პროფესორი ლალი სურმანიძე: მართალია, აღნიშნული სათაურები სავარაუდოა და მუშაობის პროცესში მკვლევრები და მათი ხელმძღვანელები დახვეწენ და უკეთ მოარგებენ კვლევაში გამოვლენილ საჭიროებებს, თუმცა, ვფიქრობ, მარინა რაიდტ-ალთუნაშვილის შემთხვევაში სასურველია ხელმძღვანელთან ერთად იფიქრონ სათაურის ლაკონიზმისა და ოპტიმიზაციის მიმართულებით.

პროფ. ქეთევან ჭკუასელი: ალბათ შეიძლება ამ საკითხზე ფიქრი, თუმცა ამ ეტაპზე, ვფიქრობ, თითოეული თემის სათაურის მოდიფიცირებაზე აქ ფიქრი არაა საჭირო, მით უფრო, სათაურები სავარაუდოა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ხელმძღვანელებს, სათაურებს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

9. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცება.

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სადისერტაციო საბჭოს მიერ შემოტანილია დოქტორანტების - ლია დავითაძის (სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“), მზექალა აჭაიძის (სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“), მირანდა გიორგაშვილის (სადოქტორო პროგრამა „სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია“) - სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების საკითხი. კერძოდ,

1.დოქტორანტ ლია დავითაძის შემფასებლები:

1. **Daniel Pavlov,**
   Associate professor,
   PhD leader (and adviser) of topics, related to:
   Estimation of business environment in benefit to industrial firms; Public - private partnership; Intellectual property rights as a factor for corporative growth;

   2008 – present - Head of the Entrepreneurship Centre at the University of Ruse,

   2009 – present - Coordinator of the Master Program in Entrepreneurship and Innovation at the University of Ruse;

   Angel Kanchev University,
   Faculty of Business and Management, Ruse, Bulgaria
   dpavlov@uni-ruse.bg
2. **ირმა გრძელიძე,** ასოცირებული პროფესორი
   უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტი
   ხარისხის მართვის ეროვნული ფონდის აკრედიტებული ექსპერტი,
   ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
   ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
   მისამართი: საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზირი 1,
   ტელეფონი +995 577 13-15-53
   irma.grdzelidze@atsu.edu.ge
   igrdzelidze@yahoo.com
3. **ლელა თურმანიძე,** ასოცირებული პროფესორი,

მათემატიკის დოქტორი,
2011- 2017 წლებში აკრედიტაციის ექსპერტი;
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ექსპერტი;
ერაზმუს + პროექტის მენეჯერი;
მკვლევარი
ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35
ტელ: +995 599 25 33 64
lela.turmanidze@bsu.edu.ge
turmanidzelela@gmail.com

2.დოქტორანტ მზექალა აჭაიძის შემფასებლები:

1. **ნინო აბრალავა,** პროფესორი, დოქტორი
მიუნსტერის (გერმანია) უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ექსპერტი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
უცხოური ენების აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
უცხოური ენების ცენტრის დირექტორი,
მისამართი: საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა ფშაველას 29,
ტელეფონი +995 599 23-06-73
ელ.ფოსტა: n.abralava@eli.ge
2. **რამაზ ქურდაძე** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი;

2014 წლიდან დღემდე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტი; 2006 წლიდან დღემდე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრი; 2006 -2010 თსუ-ის სენატის წევრი; 2010 – 2016 თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრი. თბილისი, კარტოზიას ქ. 5, ბინა 2

ტელ: 577 94 39 00; 599 18 09 03.

ramaz.kurdadze@tsu.ge

ramaz_k@yahoo.com

3. **Dr. Elisabeth Venohr**
DAAD-Lektorin Schlesische Universität Kattowitz/Polen (seit 15.09.2016)
Institut für Germanische Philologie/Campus Sosnowiec
Internet: http://www.germanistik.us.edu.pl/?page_id=13
Postadresse (in Deutschland):
Universität des Saarlandes
FB 4.1. Germanistik, Deutsch als Fremd- und Zweitsprache,
A2 2, 3.07
66123 Saarbrücken
Tel: +49 681/302-2920, Sekr.: 302-3559
e.venohr@mx.uni-saarland.de

elisabethvenohr@t-online.de

3.დოქტორანტ მირანდა გიორგაშვილის შემფასებლები:

1) **დალი ფარჯანაძე** - თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
   მობ: 555 27 08 03
   ელ.ფოსტა:daliparjanadze@yahoo.com;

2) **ია აფთარაშვილი** - თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი;
   მობ: 599 13 54 28
   ელ.ფოსტა: ia.aptarashvili@tsu.ge;

3) **ჯილ ჯეიკობსონი (Jill Jacobson),** ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სოციალური-პიროვნების ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, ქუინსის უნივერსიტეტი (Queen's University), კანადა.
   მობ: 613-533-2847 (ოფისი)
   ელ.ფოსტა: jill.jacobson@queensu.cam;

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს და დაამტკიცა ერთხმად.
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

10. დოქტორანტ ნატა ასათიანის - (სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“) - განცხადება სადოქტორო პროგრამის შეცვლასთან დაკავშირებით.

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სადისერტაციო საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე შემოტანილია დოქტორანტ ნატა ასათიანის - პ/ნ01008024661 (სადოქტორო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“) - განცხადება სადოქტორო პროგრამის შეცვლასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი ითხოვს განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამიდან განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე გადასვლას. განცხადებას თან ახლავს განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ პროფ. მზია წერეთლის თანხმობის განაცხადიც. შესაბამისად, საბჭოს კენჭი უნდა უყაროს დოქტორანტ ასათიანის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლის საკითხს.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად.
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

11. დოქტორანტ ანა ტიკარაძის - (სადოქტორო პროგრამა „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია,“ სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ია კუტალაძე) - რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის -„ბედნიერების სუბიექტური აღქმა და მისი კავშირი სამუშაოს შესრულებასთან“ - დამტკიცება;

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სადისერტაციო საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე შემოტანილია დოქტორანტ ანა ტიკარაძის - (სადოქტორო პროგრამა „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია,“ სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფესორი ია კუტალაძე) - რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის -„ბედნიერების სუბიექტური აღქმა და მისი კავშირი სამუშაოს შესრულებასთან“ - დამტკიცების საკითხი.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

12. დოქტორანტ ირინე ფრუიძის - (სადოქტორო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება,“ სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია) - რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის - „ხარისხის მართვა არასამთავრობო ორგანიზაციაში“ - დამტკიცება;

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სადისერტაციო საბჭოს მიერ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე შემოტანილია დოქტორანტ ირინე ფრუიძის - (სადოქტორო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება,“ სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ნოდარ ბელქანია) - რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაურის - „ხარისხის მართვა არასამთავრობო ორგანიზაციაში“ - დამტკიცების საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. თამარ გაგოშიძე: ვფიქრობ, წარმოდგენილი სათაური ვერ ასახავს კვლევით ფოკუსს, რომელიც ფსიქოლოგიის მეცნიერების ჭრილში შეიძლება განვიხილოთ, მსგავსი ფორმულირება მენეჯმენტის მიმართულების კონოტაციას იძენს და შორდება ჩვენს საკვლევ სფეროს.

ასოც. პროფ. ზაქარია ქიტიაშვილი: ვეთანხმები ქ-ნ თამარს და, ვფიქრობ, დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილი სათაურის ამ ფორმულირებით დამტკიცება არამართებული იქნება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ მის „რედაქტირებულ, დაზუსტებულ“ ხასიათს. შესაბამისად, სჯობს დაუბრუნდეს აღნიშნული სათაური მკვლევარსა და მის ხელმძღვანელს განსახილველად და მოდიფიცირებისთვის.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და არ დაამტკიცა

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 19

თავი შეიკავა: 0

13. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად დამტკიცებული საკონკურსო კომისიის დამტკიცება.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად 2017 წლის 25 აპრილს N4 საბჭოს სხდომაზე დამტკიცებულ საკონკურსო კომისიას გაუვიდა ვადა, რაც დღის წესრიგში აყენებს კომისიის წევრების არჩევას და კომისიის მოქმედების ვადის ხელახალ დამტკიცებას. ამასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მისი შემოთავაზებაა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, აღნიშნული კომისია დამტკიცდეს იგივე შემადგენლობით და გაუხანგრძლივდეს მოქმედების ვადა 2 წლით.

კენჭი უყარეს კომისიის შემადგენლობას და მისი მუშაობის ხანგრძლივობას 2 წლის ვადით:

1. თავმჯდომარე: ხათუნა მარწყვიშვილი, ასოცირებული პროფესორი
2. მოადგილე: ეფემია ხარაძე, ასისტენტ პროფესორი
3. ნინო ჩახუნაშვილი, ასისტენტ პროფესორი
4. ია აფთარაშვილი, ასისტენტ პროფესორი
5. ქეთევან ცანავა, სტუდენტი

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად.
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

14. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევნები
საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მდივანი შემოვიდა განცხადებით აღნიშნული თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით, რაც დღის წესრიგში აყენებს ფაკულტეტის საბჭოს ახალი მდივნის არჩევის საკითხს. მომხსენებელმა ვაკანტურ პოზიციაზე დაასახელა ასოც. პროფესორ ირინა ჟვანიას კანდიდატურა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურას და დაამტკიცა ერთხმად.
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

სხვა:

15. ფორმა 2 და ფორმა 5-ის საერთო საფაკულტეტო წარდგინების შესახებ
საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები ადმინისტრაციას გადაეცემოდა ცალ-ცალკე დეპარტამენტების მიხედვით. ადამიანური რესურსის დეპარტამენტი ითხოვს ერთიანი ინფორმაციის გადაგზავნას და არა დეპარტამენტების მიხედვით.
წინადადება მაქვს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოამზადოს ერთიანი ფორმები 2 და 5 ორივე დეპარატამენტისთვის.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად.
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

16. სამაგისტრო ნაშრომების საინფორმაციო ბაზის შექმნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ უნივერსიტეტში ინერგება პლაგიატის შესამოწმებელი პროგრამა. აღნიშნული პროგრამა მუდლის პლატფორმაზეა განთავსებული. იმისათვის, რომ ეფექტურად მოხდეს პლაგიატის შემოწმება, აუცილებელია ქართულენოვანი კორპუსის შექმნა არსებული ნაშრომებიდან და ქართულენოვანი დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურიდან. ამ მიზნით, აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომების ელექტრონული ვერსიები გადაეცეს ბიბლიოთეკას. ინსტიტუტებმა ორგანიზება გაუკეთონ ელექტრონული ვერსიების ბიბლიოთეკისთვის გადაცემას.

აღნიშნული ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

დაადგინეს:

1. ფსიქოლოგიის მიმართულების პროგრამული აკრედიტაციის კომიტეტის წევრთა რიცხვს დაემატონ აღნიშნული პროგრამის აკადემიური პერსონალი და დაინტერესებული მხარეები. კერძოდ, ნინო რუხაძე – პროგრამის "ოკუპაციური თერაპია" თანახელმძღვანელი; რუსუდან ლორთქიფანიძე – ოკუპაციური თერაპევტების ასოციაციის თავმჯდომარე; ნინო ბოლოთაშვილი – სტუდენტი; ნაზიბროლა ქაჯაია – კურსდამთავრებული; ზაზა კაკუშაძე – დამსაქმებელი.
2. მიენიჭოთ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს - ჩოფიკაშვილი სალომე და ჯოჯიშვილი შორენა - სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

3. მიენიჭოთ 2017/2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულებს - ქაჯაია ნაზიბროლა და რევაზიშვილი ანა - ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

5. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2004 წლის კურსდამთავრებულთა, მათ შორის მარიამ გაბაშვილის აკადემიური ხარისხად განისაზღვროს <u>ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობით.</u> ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში;

6. არჩეულ იქნას ასოც. პროფესორი მანანა მელიქიშვილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე 4 წლის ვადით.

7. შევიდეს ცვლილება სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებში ოქმში წარმოდგენილი ფორმულირებით.

8. დამტკიცდეს 2018-2019 სასწ. წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულ დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და თემის პირობითი/სავარაუდო სათაურების ოქმში წარმოდგენილი ფორმულირებით.

9. დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების სია ოქმში წარმოდგენილი სახით.
10. პირადი განცხადების საფუძველზე მიეცეს დოქტორანტ ნატა ასათიანს განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამიდან განათლების ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე გადასვლის შესაძლებლობა.
11. დამტკიცდეს დოქტორანტ ანა ტიკარაძის რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაური ოქმში წარმოდგენილი ფორმულირებით.

12. დაუბრუნდეს დოქტორანტ ირინა ფრუიძეს რედაქტირებული (დაზუსტებული) თემის სათაური შემდგომი მოდიფიცირებისათვის.
13. გაუგრძელდეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად დამტკიცებულ საკონკურსო კომისიას ვადა 2 წლით.
14. დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ვაკანტურ ადგილზე ასოცირებულ პროფესორ ირინა ჟვანიას კანდიდატურა.
15. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოამზადოს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტების ერთიანი ფორმები N2 და N5.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / /